„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

„საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა მეტ გამჭვირვალობას საჭიროებს

„საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა მეტ გამჭვირვალობას საჭიროებს

სს „საპარტნიორო ფონდი" სახელმწიფო საინვესტიციო ფონდია - მისი 100% სახელმწიფო საკუთრებაშია. შესაბამისად, მისი საქმიანობის, განხორციელებული პროექტების ეფექტიანობა და გამჭვირვალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო'' ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტებზე 2014 წელს უკვე წერდა. ჩვენ, ასევე, დავინტერესდით, თუ რა პროექტებს ახორციელებს ამ ეტაპზე ფონდი, რომელი პროექტი დაასრულა, და ვინ არიან ინვესტორები. ამ მიზნით ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ'' კიდევ ერთხელ გამოიკვლია.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კვლევის თავდაპირველ ეტაპზე, განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია ფონდიდან ოფიციალურად გამოვითხოვეთ, მის გაცემაზე უარი მივიღეთ და მხოლოდ ფონდის ცალკეულ თანამშრომელებთან კონტაქტის შედეგად, ვიღებდით გარკვეულ ინფორმაციას. მას შემდეგ, რაც კვლევის პირველი ვარიანტი მის საჯაროდ გამოქვეყნებამდე სს „საპარტნიორო ფონდს'' გავუგზავნეთ, ფონდმა გამოთქვა მზადყოფნა მოეწოდებინა ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია, თუმცა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მაინც ვერ მივიღეთ.

შედეგად, აღნიშნული კვლევა სს „საპარტნიორო ფონდის'' მიერ მოწოდებული მასალების გარდა, შეიცავს ჩვენს მიერ სხვადასხვა წყაროებით მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის პროექტებში თანაინვესტორი კომპანიების დამფუძნებლების, ხელმძღვანელების და კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ.

I. ფონდის შესახებ

სს „საპარტნიორო ფონდი'', რომელიც სახელმწიფო საინვესტიციო ფონდია, 2011 წელს დაარსდა და სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე შეიქმნა. ფონდის საქმიანობა ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება.

აქტივების მართვა - ფონდის აქტივების პორტფელი შემდეგი კომპანიებისგან შედგება:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი;
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი;
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი;

- სს თელასი - 24.5% წილი.

საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია „საპარტნიორო ფონდის'' საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

საინვესტიციო საქმიანობა - ამ ეტაპზე ფონდის პორტფელში არსებული პროექტების ჯამური ღირებულება 2 მლრდ აშშ დოლარს აღემატება. ფონდი ინვესტიციებს ახორციელებს მხოლოდ საქართველოში და ის ორიენტირებულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე.

რა კრიტერიუმებით ხდება სხვადასხვა პროექტში სამუშაოს უშუალო შემსრულებელი/მშენებელი ბიზნესკომპანიების შერჩევა „საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზე მითითებული არ არის, თუმცა ჩვენი თხოვნის საფუძველზე ეს ინფორმაცია ფონდმა კვლევის ბოლო ეტაპზე მოგვაწოდა.

შემსრულებელი/მშენებელი კომპანიის არჩევის პრინციპები, როცა ფონდი მაჟორიტარია

იმ შემთხვევაში როცა ფონდი მაჟორიტარია - მხოლოდ ფონდი ახორციელებს პროექტს, ასეთ კომპანიებზე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონი ვრცელდება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ე.წ. სახელმწიფო კომპანიებზე და კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფოს არაპირდაპირ მფლობელობაში არსებულ საწარმოებს მითითებული კანონის გამოყენებას, თუმცა ფონდის 100%-იანი პირდაპირ ან არაპირდაპირ შვილობილი საწარმოები შესყიდვებს ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის გამოყენებით.

შემსრულებელი/მშენებელი კომპანიის არჩევის პრინციპები, როცა ფონდი მინორიტარია

იმ შემთხვევაში როცა ფონდი მინორიტარია - პროექტის ინვესტორი სს „საპარტნიორო ფონდთან'' ერთად სხვა კომპანიაც არის. ამ შემთხვევაში ფონდი სამშენებლო კომპანიის არჩევაში უშუალოდ არ მონაწილეობს. ფონდი შემსრულებლებს არ შეარჩევს იმდენად რამდენადაც აღნიშნულს ახორციელებს ერთობლივი კომპანია. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და სამოქალაქო კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე ერთობლივ კომპანიაში განხორციელებული კაპიტალშენატანი ან მისთვის მიცემული სესხი წარმოადგენს ამ ერთობლივი კომპანიის საკუთრებას და შესაბამისად ეს დაფინანსება ერთობლივი კომპანიისათვის გადაცემისთანავე აღარ წარმოადგენს „საპარტნიორო ფონდის" სახსრებს. ერთობლივი კომპანია წარმოადგენს შემსყიდველს, რომელშიც არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ სახელმწიფო არ ფლობს 50%-ზე მეტს. ამდენად, ასეთ ერთობლივ საწარმოებზე არ ვრცელდება „სახელწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.

ფონდიდან მიღებული განმარტების თანახმად ასეთ შემთხვევაში ფონდი, როგორც ერთობლივი კომპანიის პარტნიორი, ითანხმებს ერთობლივი კომპანიის მიერ შერჩეულ მიმწოდებელს და მისი შერჩევის პროცედურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე პარტნიორთა შეთანხმებაში მიღწეული იქნება შეთანხმება. (ანუ მხოლოდ „საპარტნიორო ფონდის" ნებაზე არაა დამოკიდებული როგორ ჩამოყალიბდება ერთობლივი კომპანიის

შესყიდვების პოლიტიკა). ამ შემთხვევაში ფონდი უშუალოდ არ მონაწილეობს პროვაიდერი მესამე კომპანიის შერჩევაში, თუმცა, მათი მტკიცებით ის პარტნიორ კომპანიას უწესებს პირობას რომ ერთობლივმა კომპანიამ მოსამზადებელ ეტაპზე გასატარებელი სამუშაოებისათვის ქვეკონტრაქტორი კომპანია შეარჩიოს საბაზრო პრინციპით, ფასთა გამოკითხვის მიხედვით.

როგორც ფონდში განმარტავენ, შემსრულებელი კომპანიის შერჩევა ხდება ფასთა გამოკითხვით ორ ეტაპად. თავდაპირველად ხდება იმ კომპანიების განსაზღვრა, ვისაც მოიწვევენ ფასთა გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად. ამ კომპანიების შერჩევა ხდება მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორი კომპანიის და ფონდის მოსაზრების საფუძველზე, კომპანიებს რამდენად თვლიან საქმის შემსრულებლად - ყოველგვარი გაწერილი კრიტერიუმის გარეშე. შემდეგ, ამ პირველადი შერჩევიდან ხდება კონკრეტული კომპანიის არჩევა უკვე ფასთა გამოკითხვის საფუძველზე.

ფონდში აღნიშნავენ, რომ აღნიშნული ურთიერთშეთანხმება - შემსრულებელი/მშენებელი კომპანიის არჩევა ფასთა გამოკითხვის მიხედვით შეიძლება საერთოდაც არ შედგეს და ასეთ შემთხვევაში პროექტი ან ვერ განხორციელდება, ან თუ ფონდმა პროექტი საკმარისად საინტერესოდ მიიჩნია, მაინც განახორციელებს მიუხედავად პირობების შეუსრულებლობისა.

II. ფონდის მიერ დასრულებული და მიმდინარე პროექტები

1. დასრულებული პროექტები

2016 წლის მონაცემებით, დასრულებულია 10 პროექტი, ხოლო 7-ზე მუშაობა მიმდინარეობს.

2016 წლის მდგომარეობით დასრულებული პროექტებია:

- სასათბურე მეურნეობა - „იმერეთი გრინერი";
- რუხის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი;
- მოცვის პლანტაცია და გადამამუშავებელი საწარმო;
- სამშენებლო მასალის მწარმოებელი ქარხანა Panex;
- გარდაბნის თბოსადგური;
- სასტუმრო Rixos Borjomi;
- კურორტი „საირმე";
- სასტუმრო „ჯინო ველნეს სპა/რაბათი";
- მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა „კალანდა";
- სასტუმრო „როიალ ბატონი".

ამ პროექტებიდან კურორტი - „საირმე'', სასტუმრო - „ჯინო ველნეს სპა/რაბათი“, „ჯეო აგროს“ მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა „კალანდა“ და სასტუმრო - „როიალ ბატონი“ ყვარელში ჩვენ მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ კვლევაშია განხილული, ამიტომ ამჯერად მხოლოდ დანარჩენ ხუთს მიმოვიხილავთ.

1.1. „იმერეთი გრინერი''

სასათბურე მეურნეობა - „იმერეთი გრინერი"
ადგილმდებარეობა: სამტრედიის რაიონი
საინვესტიციო მოცულობა: $ 4,6 მლნ
გახსნის თარიღი: 2016 წლის ივნისი

„საპარტნიორო ფონდმა” 2015 წლის დეკემბერს Georgian Fresh Holding B.V-თან ერთად პროექტი დაიწყო, რომელიც დამატებით 1.5 ჰექტარზე სათბურის მშენებლობას ითვალისწინებდა. ფონდის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად სათბურში დაახლოებით 700 ტონა სხვადასხვა სახის ბოსტნეულის მოყვანა არის დაგეგმილი, რომელიც ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება, თუმცა მეზობელ ქეყნებში მისი ექსპორტის პოტენციალიც არსებობს. აღნიშნული პროექტის მიზანი დაბალხარისხიანი იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებაა, რომლის საინვესტიციო მოცულობა 4.2 მლნ ევროს, ხოლო „საპარტნიორო ფონდის” თანამონაწილეობა კი 1.4 მლნ ევროს შეადგენს.

როგორც ფონდის ვებგვერდიდან ვიგებთ, Georgian Fresh Holding B.V-მ მეურნეობის განვითარების მიზნით შპს „იმერეთი Greenery” დაარსა. თუმცა ოფიციალური წყაროებით Georgian Fresh Holding B.V 2014 წლის მარტში შეიქმნა, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანია დასაქმებული, მაშინ როცა შპს „იმერეთი გრინერი'' 2010 წლის ნოემბერშია დარეგისტრირებული. ამის მიზეზი შემდეგია: ფონდის შესვლამდე კომპანია „იმერეთი გრინერის” პარტნიორები იყვნენ ფიზიკური პირები (**მამუკა ხაზარაძე**, **ბობ მეიერი**, **ბადრი ჯაფარიძე** და **ლევან ბაღდავაძე** ჯამურად 50%) და ასევე ჰოლანდიური კომპანია შპს.„Food ventures Georgia B.V” (ასევე 50%-იანი წილის მფლობელი). კომპანია სამომავლოდ აპირებს

გაფართოებას დამატებით 2 ჰექტარზე (ამჟამად სათბური გაშენებულია 2.1 ჰექტარზე) და ამიტომ იაფი დაფინანსების მოპოვებას ახდენს ჰოლანდიური საფინანსო ორგანიზაციებიდან (Dutch Growth Fund, Stichting ifund). ამ დაფინანსების მოპოვების წინაპირობა კი ჰოლანდიური კომპანიის არანაკლებ 50%-იან წილში ყოფნა არის. მას შემდეგ, რაც „საპარტნიორო ფონდი" „იმერეთი გრინერი''-ს 50% წილის მფლობელი გახდა, ეს წინაპირობა დაირღვეოდა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა ზემოთნახსენები პირების წილების გადატანა ჰოლანდიურ კომპანიაში. სწორედ ამ მიზნით, ფონდმა და პარტნიორმა ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება, განხორციელებულიყო აღნიშნული ტრანზაქცია. შედეგად, შეიქმნა ჰოლანდიური კომპანია „Georgian Fresh Holding B.V", რომელიც გახდა „იმერეთი გრინერის" 50.35%-იანი წილის მფლობელი, რაც პერსპექტივას უტოვებს კომპანიას 2016 წლის ბოლოსთვის (მას შემდეგ, რაც სათბური შეძლებს საოპერაციო წლის დადებითი ფინანსური მაჩვენებლებით დასრულებას) დამატებით მოზიდულ იქნას იაფი სასესხო რესურსი 4,000,000-დან 5,000,000-მდე აშშ. დოლარის ოდენობით.

შპს „იმერეთი გრინერის'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: **დეიდერიკ თეოდორიკ ალევენი**, **გიორგი გორგაძე** და **ნათია ხელაია**, დირექტორი - დეიდერიკ **თეოდორიკ ალევენია**, დირექტორის მოადგილე - **ნათია ხელაია**. პარტნიორები: სს „საპარტნიორო ფონდი''- 49.650% და შპს Georgian Fresh Holding B.V ნიდერლანდები - 50.35%. „იმერეთი გრინერი'' მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში კომპანიის საბჭოს წევრები არ ფიქსირდებიან.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

„საპარტნიორო ფონდის" **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

1.2. რუხის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი

რუხის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი

ადგილმდებარეობა: ზუგდიდის რაიონი, სოფელი რუხი

საინვესტიციო მოცულობა: 15 მლნ ლარი
გახსნის თარიღი: 2016 წლის თებერვალი.

რუხის სავაჭრო ცენტრი 5 ჰექტარზეა გაშენებული, კომპლექსი სულ 10 შენობისგან შედგება და შენობების საერთო ფართი 10 000 მ2-ია. სავაჭრო ცენტრში განთავსებულია საცალო, საბითუმო, ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიები, ჰიპერმარკეტი, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი, ღია ტიპის ბაზარი, ავტოსერვისი, საფინანსო და საბანკო მომსახურების ობიექტები, აფთიაქი და სხვა. ცენტრში ასევე ოპერირებს საშენ მასალათა მაღაზიის ქსელის „გორგიას'' ფილიალი და სურსათის ჰიპემარკეტი „ლიბრე''.

სავაჭრო ცენტრის პროექტის ინვესტორი სრულად „საპარტნიორო ფონდია", რომელმაც სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და 2016 წლის იანვარში დაასრულა. სამშენებლო სამუშაოები კომპანია „დაგი"- მ, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა ამერიკულმა საზედამხედველო კომპანია AECOM-მა განახორციელა.

სამშენებლო კომპანია „დაგი'' 2004 წლის 23 თებერვალს არის დარეგისტრირებული. მისი დამფუძნებელი და 75% წილის მფლობელი გოგი გულორდავაა, 25%-ის კი ანზორ ჩხეტია, დირექტორი - მიხეილ შარანგიაა, ხოლო აღმასრულებელი დირექტორი - გოგა გუგავა. გოგი გულორდავას 2012 წელს პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" 35 000 ლარი აქვს შეწირული, მიხეილ შარანგიას კი 5 000 ლარი. შპს „დაგი''-ს მონაწილეობა მიღებული აქვს - 61 ტენდერში; აქედან გაიმარჯვა - 17 - ში და ჯამში გამარჯვებული კონტრაქტების ღირებულება - 751,934 ლარია. აღსანიშნავია ასევე ის, რომ გოგი გულორდავა შპს „დასა''-ს დამფუძნებელი და მეწილეა, შპს „სალი''-ს დირექტორი და მეწილეა, შპს „All seasons''-ის 100% იანი მეწილეა, შპს „ონიქსი''-ს დირექტორი და მეწილეა, შპს „ი-მედი''-ს მეწილეა, შპს GEORGIAN MOTORS ჯორჯიან მოტორსი-ს მეწილეა (100%), შპს „ბელგეო''-ს მეწილე (40%) და შპს „გ.მ.+ ''-ს მეწილეა (50%).

რაც შეეხება მიხეილ შარანგიას ის შპს „ი-მედი''-ს დირექტორია, შპს „ონიქსი''-ს დირექტორი და მეწილეა, შპს „რვაფეხა''-ს დირექტორი და მეწილე და შპს „მეგაპლასტი''-ს მეწილეა (33.5%).

რაც შეეხება შპს „რუხის სავაჭრო ცენტრს", იგი 2014 წლის 29 დეკემბერსაა დარეგისტრირებული. დირექტორი 2015 წლის 21 სექტემბრიდან **დავით მაჭავარიანია**, მანამდე კი **ტარიელ გაბუნია** იყო. მესაკუთრე - 100% წილის მფლობელი სს „საპარტნიორო ფონდია". დირექტორები პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდებიან. **დავით მაჭავარიანი** ასევე არის შპს „საქართველოს პროდუქტი''-ს დირექტორი, ააიპ „ბუნებრივი რესურსების მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია''-ს დამფუძნებელი და დირექტორი, ააიპ „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ცენტრი''-ს დირექტორი და დამფუძნებელი, შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი''-ს დირექტორი და შპს „საქართველოს შავი ზღვის პორტი''-ს დირექტორი.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

„საპარტნიორო ფონდის" **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

1.3. მოცვის პლანტაცია და გადამამუშავებელი საწარმო

ლურჯი მოცვის პლანტაცია და გადამამუშავებელი საწარმო (VANRIK AGRO)
ადგილმდებარეობა: დაბა ლაითური, ოზურგეთი
საინვესტიციო მოცულობა: $6.7 მლნ
გახსნის თარიღი: 2015 წლის ივნისი.

2015 წლის 25 თებერვალს სს „საპარტნიორო ფონდმა'' ადგილობრივ კომპანია შპს „ვანრიკ აგროსთან'' (VANRIK AGRO) ხელშეკრულება გააფორმა და სოფლის მეურნეობის სექტორში ახალი პროექტი - ლურჯი მოცვის მოყვანა და გადამუშავება 2015 წლის გაზაფხულზე ოფიციალურად დაიწყო. პროექტი ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურშია. პროექტი მიზნად ისახავდა 70 ჰექტარ ტერიტორიაზე ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენებას და გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას. ამ ეტაპზე უკვე მუშაობს გადამამუშავებელი საწარმო, სადაც ლურჯი მოცვის ნაყოფის კალიბრაცია, შეფუთვა და სარეალიზაციოდ მომზადება ხდება. პროექტს მხარდაჭერა „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება'' - GIZ-მა და „ხალიკ ბანკმა'' გაუწია.

„ვანრიკ აგრო'' როგორც სააქციო საზოგადოება 2015 წლის 11 ოქტომბერს დარეგისტრირდა, თუმცა მანამდე იგივე საქმიანობას კომპანია შპს „ვანრიკ''-ი (დარეგისტრირებული 2012 წელს) და შპს „ჯეომაქს ინტერნეიშენალ''- ი (დარეგისტრირებული 2010 წელს) ერთად ახორციელებდა. შემდეგ, „საპარტნიორო ფონდთან" თანამშრომლობის მიზნით საჭირო გახდა ამ ორი შპს-ს გაერთიანება და ერთ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ორი შპს-ს ხელმძღვანელები ახლა სააქციო საზოგადოებაში უკვე ფიზიკური პირების სახით არიან წარმოდგენილი. სს „ვანრიკ აგროს'' აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი ფარცვანიაა**, რომელიც პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდება. **ირაკლი ფარცვანია** ასევე არის შპს „კლინ გლობ ლამორ ჯორჯია''-ს დირექტორი და შპს „სოლარი +''-ს დირექტორი და მეწილე (100%).

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

„საპარტნიორო ფონდის" **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

1.4. სამშენებლო მასალის მწარმოებელი ქარხანა Panex

სამშენებლო მასალის მწარმოებელი ქარხანა Panex
ადგილმდებარეობა: რუსთავი
საინვესტიციო მოცულობა: $ 6 მლნ
გახსნის თარიღი: 2015 წლის ივლისი

2014 წლის გაზაფხულზე „საპარტნიორო ფონდმა" ადილობრივ კომპანია „აი-სი-ი-ეს''-თან (ICES) ხელშეკრულება გააფორმა და სამშენებლო მასალის მწარმოებელი საწარმოს მშენებლობის ახალი პროექტი დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქ. რუსთავის გზატკეცილზე სამშენებლო მასალის - ე.წ „სენდვიჩ პანელების'' მწარმოებელი ქარხნის მშენებლობას. ამ პროექტის განხორციელებისთვის ფონდმა შპს ICES-თან ერთად კომპანია შპს „პანექსი'' დააფუძნა, რომელშიც ფონდი კაპიტალის 49%-ს ფლობს. საწარმო გეგმავს 2.8 მლნ $მ^2$ პანელის გამოშვებას წელიწადში და დაახლოებით 40%-ის ექსპორტზე გატანას: ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში. 2015 წლის ივლისში საპარტნიორო ფონდმა და შპს ICES-მა საწარმო ოფიციალურად გახსნა.

2015 წლის აგვისტოში „პანექსმა" „სენდვიჩ პანელების" რეალიზაცია უკვე დაიწყო. ქარხანაში წარმოებული პროდუქცია პირველ ეტაპზე საქართველოში გაიყიდა, შემდგომში კი მისი ექსპორტზე გატანაც იგეგმება.

შპს „აი-სი-ი-ეს'' ICES 2007 წლის 29 იანვარს არის დარეგისტრირებული. თუმცა 2009 წლამდე ეს კომპანია შპს „იზოტექნიკ-ჯორჯიას'' სახელით იყო ცნობილი, რომლის დამფუძნებელიც და კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელიც **ალექსი მორჩილაძე** იყო.

2009 წელს დამფუძნებლისვე გადაწყვეტილებით ამ კომპანიისთვის სახელწოდების შეცვლა მოხდა და შპს „აი-სი-ი-ეს''-ი ეწოდა. ამ კომპანიის დირექტორიც და მესაკუთრეც (100%-იანი წილის მფლობელი) კვლავ **ალექსი მორჩილაძეა**. კომპანია მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის და კომპანიის მესაკუთრე შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდება. კომპანია ICES -ს მონაწილეობა მიღებული აქვს - 22 ტენდერში, აქედან გამარჯვებულია - 10 ში და გამარჯვებული ტენდერების ღირებულება - 4,390,250 ლარია. ალექსი მორჩილაძე ასევე არის შპს „რუბიკონი ლტდ''-ის დირექტორი და მეწილე, შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფი''-ს დირექტორი და მეწილე (30%), შპს „ICES FIZ''-ის. დირექტორი, შპს „ICES trade''-ის დირექტორი, შპს „Salt Sea Beauty''-ის დირექტორი, შპს „რვალი''-ს დირექტორი და მეწილე (100%), შპს „აგრიკა''-ს დირექტორი და მეწილე (100%), შპს „გეოაგროგრინი''-ს მეწილე (5%), შპს „კლიმატი''-ს მეწილე (45%) და შპს „ევრაზია ტრანს სერვისი''-ს მეწილე (20%).

სს პანექსი 2014 წლის 18 მარტს არის დარეგისტრირებული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან **აკაკი პაიჭაძე**, **იოსებ მამუკელაშვილი** და **დავით კიღურაძე**. აღმასრულებელი დირექტორი - **გიორგი ფერიშვილია**. კომპანია მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. კომპანიის საბჭოს წევრები და აღმასრულებელი დირექტორი პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდებიან. **აკაკი პაიჭაძე** ასევე არის სს „დელიდორი''-ს დირექტორი, შპს „ნ.ი.ზ.+''-ის დირექტორი,შპს „იემეი ინჯინირინგ''-ის დირექტორი და მეწილე (67%), შპს „გოლდენ ქორნი''-ს მეწილე, შპს „ბლექ სი ფიშერი ფროდაქტი''-ს მეწილე (32%), შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფი''-ს მეწილე (30%) და შპს „საქართველოს აგროგანვითარება - ლაგოდეხი''-ს მეწილე (20%). რაც შეეხება დავით კიღურაძეს ის არის შპს „დ.დ. ქართუ''-ს დირექტორი და მეწილე (0.43%), შპს „ნ.ი.ზ.+''-ის მეწილე (100%), შპს „კლიმატი''-ს მეწილე (15%), შპს „ევრაზია ტრანს სერვისი''-ს მეწილე (20%) და შპს „ქართუ-უნივერსალი''-ს მეწილე (2.4%).

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

„საპარტნიორო ფონდის" **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

1.5. **გარდაბნის თბოსადგური**

გარდაბნის თბოელექტროსადგური
ადგილმდებარეობა: გარდაბანი
მოცულობა: 230 მგვტ
გახსნის თარიღი: 2015 წლის აგვისტო

2013 წლის ოქტომბერში „საპარტნიორო ფონდმა" ხელშეკრულება გააფორმა თურქულ კომპანია „ჩალიკ ენერჯისთან'' („ÇALIK ENERJİ'') კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. 2014 წლის იანვარში კი პროექტის ფაქტობრივი განხორციელება დაიწყო. თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე 231 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა. პროექტი განხორციელდა „საპარტნიორო ფონდის" და მისი შვილობილი კომპანია „ნავთობისა და გაზის კორპორაციის'' დაფინანსებით. მშენებლობა კი თურქულმა კომპანიამ „ჩალიკ ენერჯი''-მ განახორციელა. თბოელექტროსადგური თბილისიდან 40 კმ-ის მანძილზე - გარდაბანი, ქვემო ქართლი დაახლოებით 3 ჰექტარ ტერიტორიაზეა გაშენებული. თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 237 მგვტ-ია, პოტენციური გამომუშავება 1.6 მლრდ კილოვატ/საათი. ფონდის ინფორმაციით სადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთი მესამედით უფრო მაღალი და 50%-ით უფრო ეკონომიკურია, ვიდრე დღეს საქართველოში ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა ნებისმიერი ელექტროსადგურებისა. ფონდის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად სადგურს საშუალება აქვს 20-25 წუთის მანძილზე ჩაერთოს საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში და უზრუნველყოს სისტემის მდგრადობა. სადგურის მშენებლობა 2015 წლის ზაფხულში დასრულდა.

შპს „გარდაბნის თბოსადგური" დარეგისტრირებულია 30/08/2012 წელს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა **ნათელა თურნავა** („საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე). წევრები არიან: **გიორგი ციმაკურიძე** და **ზაქარია ავალიანი**. გენერალური დირექტორია **ლაშა მგელაძე**. მესაკუთრე: სს „საპარტნიორო ფონდი''- 49.0%; სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია''-51.0%. კომპანია არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, წევრები და გენერალური დირექტორი პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდებიან.

გიორგი ციმაკურიძე არის შპს „ფლაიტექ''-ის გენერალური დირექტორი,სს „ციმავია ჰოლდინგი''-ს გენერალური დირექტორი, „საპარტნიორო ფონდის" ფინანსური დირექტორი და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ზაქარია ავალიანი არის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია''-ს დირექტორი ტექ. საკითხებში;

ნათელა თურნავა არის შპს „სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი''-ის მეწილე 15% და „ფონდი გლობალური თანამშრომლობა ეკონომიკური განვითარებისთვის'' დირექტორი.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

საპარტნიორო ფონდის **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

1.6. სასტუმრო Rixos Borjomi

5 ვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოს ბორჯომი"

ინვესტორი: შპს „ყაზმუნაიგაზ სერვისი"
ადგილმდებარეობა: ბორჯომი
ოთახების რაოდენობა: 151
საინვესტიციო მოცულობა: $ 48 მლნ
გახნის თარიღი: 2015 წლის იანვარი

5 ვარსკვლავიანი სასტუმრო - გამაჯანსაღებელი კომპლექსი - RIXOS Borjomi-ი „საპარტნიორო ფონდის” და ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზ სერვისი’’-ს ერთობლივი პროექტია. კომპლექსის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 48 მლნ აშშ დოლარია; ფონდის თანამონაწილეობა პროექტში კაპიტალის 50%-ია. ქართული და ყაზახური მხარეები, კომპლექსში თანაბრი წილს ფლობენ. სასტუმროს ოპერირებას მსოფლიოში ცნობილი ოპერატორი RIXOS-ი ახორციელებს. სასტუმროების ქსელი RIXOS-ი 2000 წელს თურქეთში დაფუძნდა; დღეისათვის კი უკვე 20-ზე მეტ სასტუმროს მართავს თურქეთში, ყაზახეთში, ხორვატიაში, ეგვიპტეში, შვეიცარიაში, აზერბაიჯანსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროში. „რიქსოს ბორჯომის’’ მშენებლობა 2006 წელს დაიწყო, თუმცა ფინანსური რესურსის არარსებობის გამო მშენებლობის პროცესი რამდენიმე წლით გაიწელა. 2015 წლის 14 იანვარს „საპარტნიორო ფონდმა” და „ყაზმუნაიგაზმა" „რიქსოს ბორჯომი" ოფიციალურად გახსნეს. სასტუმროში 152 ნომერია – სტანდარტული, ლუქსის და საპრეზიდენტო. კომპლექსი აერთიანებს რესტორანს, კაფე-ბარებს, საკონფერენციო დარბაზებს, გოლფის და ფეხბურთის სათამაშო მოედნებს, სპა ცენტრს, საცურაო აუზს, ბავშვთა გასართობ ცენტრს „რიქსი ქლაბს" და დამხმარე ნაგებობებს. როგორც ფონდის ვებგვერდიდან ვიგებთ 2016 წლის 20 იანვარს RIXOS -ის ვიცე პრეზიდენტი „საპარტნიორო ფონდს” კვლავ ეწვია და სასტუმროს განვითარების გეგმა წარუდგინა. შესაბამისად, „საპარტნიორო ფონდსა” და RIXOS – ს შორის თანამშრომლობა კვლავ გრძელდება.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიერ

5 ვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოს ბორჯომი"-ს მშენებლობა დასრულებულია და ფუნქციონირებს. **ფონდის ვებ-გვერდზე ინფორმაცია სრულყოფილადაა მოცემული და პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

2. მიმდინარე პროექტები

2016 წელს მიმდინარე პროექტებია:

1. სასტუმრო Hyatt Regency;
2. სამოქალაქო ავიაციის კომპოზიტური ნაწილების ქარხანა;
3. სასტუმრო Best Western;
4. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური;
5. ჰიდროელექტრო სადგური „კასლეთი 2";
6. ჰიდროელექტრო სადგური „ლუხუნი 2";
7. სასტუმრო „Radisson წინანდალი".

2.1. ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო Hyatt Regency

5 ვარსკვლავიანი სასტუმრო Hyatt Regency
ადგილმდებარეობა: თბილისი
ოთახების რაოდენობა: 170
საინვესტიციო მოცულობა: $ 65 მლნ
გახსნის თარიღი: 2018 წელი.

2015 წლის ივნისში საპარტნიორო ფონდმა Merrydow Development Holdings LTD - სთან ერთად მსოფლიო ბრენდის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო - Hyatt Regency - ის მშენებლობა დაიწყო. სასტუმრო რუსთაველის გამზირზე, ყოფილ იუსტიციის სამინისტროს შენობაშია. პროექტის ფარგლებში, შენობის სრული რეაბილიტაცია და გამაგრება ხდება. ასევე ნარჩუნდება შენობის ისტორიული ფასადი. სასტუმრო 170 ნომრიანი იქნება, საკონფერენციო დარბაზებით, საცურაო აუზით, სპა, ფიტნეს ცენტრებით და ოთხი რესტორნით. Merrydow Development Holdings LTD -მა როგორც ცნობილია შპს „რუსთაველი ფროფერთი'' დააფუძნა, რომელიც სასტუმროს განვითარებას ახორციელებს და რომელთანაც ფონდს ხელშეკრულება აქვს დადებული (ფონდი მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებთან აფორმებს ხელშეკრულებას). „რუსთაველი ფროფერთი''2011 წელს დარეგისტრირდა, როგორც შპს, თუმცა 2015 წელს მისი რეორგანიზაცია მოხდა და სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა.

კომპანიის გენერალური დირექტორი **მინდია გადაევია**, რომელიც 2005 წელს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, ამავე წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორად დაინიშნა, 2007 წელს კი - შემოსავლების სამსახურის

უფროსად. 2007 წელს გადაევმა ბიზნესში გადაინაცვლა. იგი არის ააიპ „ფონდი აკროპოლისი''-ს დამფუძნებელი, შპს „ელექტრო თრეიდი''-ს მეწილე (100%) და შპს „კონსალტინგ პარტნერსი''-ს მეწილე (50%). იგი პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდება.

რაც შეეხება Merrydow Development Holdings LTD - ს მისი ვებგვერდი ცნობილი არ არის, და ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით იგი კვიპროსშია რეგისტრირებული. „რუსთაველი ფროფერთი''- ს გენერალურ დირექტორ - მინდია გადავეთან საუბრის შემდეგ გავარკვიეთ, რომ Hyatt Regency-ის პროექტის თანაინვესტორი რეალურად LCG - Loyal Capital Group - ია, რომლის შვილობილი კომპანიაც არის Merrydow Development Holdings LTD - ი, ხოლო სს „რუსთაველი ფროფერთი'' კი როგორც უკვე აღვნიშნეთ Merrydow Development Holdings LTD -ის დაფუძნებელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ოფიციალური წყაროებით Merrydow Development Holdings LTD - ის დირექტორი/ოფიცერი კომპანია - ONE WORLD SECRETARIAL LIMITED - ია, რომელიც კვიპროსში, ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული და ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიების Goldblatt Holdings Limited და FIRST RUSSIAN FOREX COMPANY LTD -ის მდივანი კომპანიაა. Merrydow Development Holdings LTD-ის მფლობელების შესახებ ინფორმაცია არც „საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზეა განთავსებული და არც ღია წყაროებშია ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება, LCG - Loyal Capital Group - ს, მისი სათაო ოფისი ლუქსემბურგშია. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია (და იმავდრულად კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი) ცნობილი ბიზნესმენი **რომან ფიფია**, რომელიც 2011 წლიდან „დინამო თბილისის'' პრეზიდენტია. ამ კომპანიის სხვა დამფუძნებლების შესახებ ღია წყაროებში ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

5 ვარსკვლავიანი სასტუმრო Hyatt Regency-ის პროექტს „საპარტნიორო ფონდთან" ერთად რეალურად არა Merrydow Development Holdings LTD-ი ახორციელებს, როგორც ეს ფონდის ვებგვერდზეა განმარტებული, არამედ LCG - Loyal Capital Group-ი, რომლის შვილობილ კომპანიასაც წარმოადგენს Merrydow Development Holdings LTD. ჩვენს მიერ მოძიებული ოფიციალური წყაროების თანახმად, Merrydow Development Holdings LTD - ს ოფშორულ ზონამდე მივყავართ, ხოლო LCG - Loyal Capital Group-ის დამფუძნებლების შესახებ სრული ინფორმაცია ღია წყაროებით ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიების ამ ბუნდოვან სქემასთან დაკავშირებით მინდია გადაევს ვესაუბრეთ, რომელიც სს „რუსთაველი ფროფერთი''-ს გენერალური დირექტორი და LCG - Loyal Capital Group-ის ერთ-ერთი ვიცე პრეზიდენტია. მისი განმარტებით კომპანიათა ამ სქემის არსებობა მათი გადაწყვეტილება იყო და ასე ჩათვალეს საჭიროდ. მართალია აღნიშნული კომპანიები კერძო კომპანიებია და ისინი თავისუფალი არიან თავიანთ გადაწყვეტილებებში, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ რადგან „საპარტნიორო ფონდი" სახელმწიფო საინვესტიციო ფონდია, სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ კომპანიებთან ერთად პროექტებს არ უნდა ახორციელებდეს. ასეთი სქემების არსებობის პირობებში ეჭვი ჩნდება სახელმწიფო სახსრების არაეფექტიან ხარჯვასთან დაკავშირებით.

2.2. სამოქალაქო ავიაციის კომპოზიტური ნაწილების ქარხანა



სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა
ადგილმდებარეობა: თბილისი
საინვესტიციო მოცულობა: $ 85 მლნ
გახსნის თარიღი: 2017 წელი

2015 წლის გაზაფხულზე „საპარტნიორო ფონდმა" ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ისრაელის ცნობილ კომპანია Elbit Cyclone – თან ხელი მოაწერა პროექტს, რომელიც სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხნის - JSC Aerostructure Technologies Cylone (ATC) მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის მიზანი

საწარმოს შექმნაა, სადაც თვითმფრინავის დეტალები: კარები, აეროდინამიკური ზედაპირი, საკონტროლო პანელი და სხვა ნაწილები მოწინავე ტექნოლოგიებით დამზადება. ქარხნის მშენებლობა 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და მისი დასრულება 2017 წლის ბოლომდე, ხოლო პირველი სერტიფიცირებული პროდუქციის გამოშვება 2018 წლის დასაწყისში იგეგმება. ქარხანა საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ - „ფოლადმშენის'' ყოფილ ტერიტორიაზე შენდება. როგორც ჩვენთვის ფონდიდან მოწოდებული ინფორმაციის შედეგად გახდა ცნობილი „საპარტნიორო ფონდთან'' ერთად თანაინვესტორი კომპანია „როიალ დეველოფმენთია''. იგი მოიზიდავს ფინანსურ რესურსებს (12 მლნ. აშშ დოლარამდე) და საკუთარი მიწის ნაკვეთზე დააფინანსებს ქარხნის შენობის მშენებლობას და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მიყვანას (ელექტროგაყვანილობა, წყლის მიწოდების და სანიაღვრე სისტემა, საკომუნიკაციო საშუალებები). შემდეგ, „როიალ დეველოფმენთი''-ს მიერ აშენებული შენობა და ინფრასტრუქტურა გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებით გადაეცემა Elbit Cyclone-ის და „საპარტნიორო ფონდის" მიერ შექმნილ ერთობლივ კომპანია - JSC Aerostructure Technologies Cylone (ATC)-ს. როგორც „საპარტნიორო ფონდიდან" გვაცნობეს ქარხნის შენობის მშენებლობის მიზნით „როიალ დეველოფმენთმა'' Elbit Cyclone-ის მეთვალყურეობით სამშენებლო კომპანიების შესარჩევი კონკურსი ჩაატარა, სადაც კომპანია „ანაგმა'' გაიმარჯვა.

ELBIT Cyclone არის ELBIT Systems-ის შვილობილი კომპანია, რომელიც ისრაელში სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: სამხედრო/თავდაცვის საჰაერო ხომალდების ნაწილები, მსხვილი სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილები და უსაფრთხოების სისტემები. ELBIT Systems 1966 წელს ისრაელში დაარსდა და NASDAQ-ზე (ESLT) და თელ-ავივის საფონდო ბირჟებზე (TASE) კვოტირებული კომპანიაა.

„საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად საწარმო - JSC Aerostructure Technologies Cylone (ATC) ავიაციის ბაზარზე გასვლისთვის საჭირო ყველა აუცილებელ სერთიფიცირებას ELBIT-ის დახმარებით გაივლის. შექმნილი პროდუქციის 100%-ის გატანა ექსპორტზე იგეგმება, რომლითაც Boeing, Airbus, Bombardier და სხვა კომპანიების მომარაგება მოხდება. JSC Aerostructure Technologies Cylone (ATC) - სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)" „საპარტნიორო ფონდმა" და Elbit Cyclone-მა ამ პროექტისთვის ერთობლივად 19/06/2015 წელს დააფუძნა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა **ნათელა თურნავა** („საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე), თავმჯდომარის მოადგილეა **დავიდ ვიდანი** (ისრაელი). საბჭოს წევრები კი არიან: **ნინო ჩოლოყაშვილი**, **გიორგი ზღუდაძე**, **რევაზ ტყავაძე** და **ალონ ური** (ისრაელი). დირექტორთა საბჭოს წევრები არიან: **რეფაელ ბიტონი** (აღმასრულებელი დირექტორი) და **იოსებ მამუკელაშვილი** - ფინანსური დირექტორი. ზემოთ ხსენებული ადამიანები პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდებიან. რაც შეეხება **რევაზ ტყავაძეს** ის ასევე შპს „კომპი ინვესტი''-ს მეწილეა (1.6%), შპს „ბამი''-ს დირექტორი და მეწილე (70%) და შპს „ბი-სი-ჯი იურიდიული ოფისი''-ს მეწილეა (10%).

შპს „როიალ დეველოფმენთი'' ფონდთან ერთად პროექტის თანაინვესტორს წარმოადგენს. კომპანია 2014 წლის ოქტომბერშია დარეგისტრირებული. კვლევის გამოქვეყნების მომენტისთვის მისი დირექტორები არიან **ლევ ნანიკაშვილი** და **რაფაელ ელუაშვილი**, ხოლო მესაკუთრეები კი: **ლევ ნანიკაშვილი** - 25%, **მანუახ ნანიკაშვილი** - 25% და შპს **ჰაპიტრონ-ი.არ. მენეჯმენტ & ინვესტმენტს** - 50%.

აღსანიშნავია, რომ მესაკუთრეების და დირექტორების ბოლო ცვლილება საეჭვოდ დაემთხვა კვლევაზე მუშაობის პერიოდს და ჩვენს მიერ ფონდისთვის დასმულ შეკითხვებს ამ კომპანიასთან დაკავშირებით, რადგანაც 2016 წლის 29 ივნისამდე კომპანია „როიალ დეველოფმენთის" 40%-ის წილის მფლობელი და 11 აგვისტომდე კომპანიის ერთ - ერთი დირექტორიც ყოფილი მთავარი პროკურორი **ოთარ ფარცხალაძე** იყო.

ოთარ ფარცხალაძეს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია შევსებული აქვს ორჯერ, პირველი - 2013 წლის 5 ივნისს და მეორე - 2014 წლის 28 თებერვალს. 2013 წელს დეკლარაცია შევსებული აქვს, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საგამოძიებო სამსახურის უფროსს, ხოლო 2014 წელს კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში – მთავარ პროკურორს (ყოფილი). 2013 წლის დეკლარაციაში მითითებული აქვს რომ ის არის შპს „ბოდი გარდი''-ს მეწილე, თუმცა არა აქვს მითითებული კომპანიები შპს „მიტერა'' და შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი''. რადგანაც „როიალ დეველოფმენთი'' დეკლარაციების შევსების შემდეგ - 2014 წლის 20 ოქტომბერს დარეგისტრირდა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს კომპანია ვერც ერთ დეკლარაციაში ვერ აისახებოდა.

შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი'' 2006 წლის 17 ივლისში არის დარეგისტრირებული და მისი მესაკუთრე (100%) შპს „როიალ დეველოფმენთია''. რადგან „როიალ დეველოფმენთი'' 2014 წლის 20 ოქტომბერს დარეგისტრირდა, შესაბამისად შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი''-ს მესაკუთრეც აღნიშნული პერიოდის შემდეგ გახდა, **ოთარ ფარცხალაძე** კი შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი''-ს დირექტორად 2016 წლის 3 მაისში დაინიშნა.

რაც შეეხება შპს „მიტერას'' ეს კომპანია 2005 წლის 3 ივნისს არის დარეგისტრირებული, რომლის 75% წილის მფლობელი **ქეთევან ცქვიტინიძე** (ოთარ ფარცხალაძის მეუღლე) და 25% წილის მფლობელი კი თავად ოთარ ფარცხალაძეა, თუმცა ოთარ ფარცხალაძე 25% წილის მფლობელი 2016 წლიდან არის, ამიტომ ნათელია, თუ რატომ არ არის ეს ინფორმაციაც დეკლარაციებში ასახული.

შპს „როიალ დეველოდმენთი'' მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის და პოლიტიკურ პარტიების შემომწირველთა სიაშიც მისი წევრები არ ფიქსირდებიან. ლევ ნანიკაშვილი შპს „ნნნ-ინვესტი''-ს მეწილეა (66%) ბელგიაში, ოთარ ფარცხალაძე კი შპს „ბოდი გარდი''-ის მეწილე, შპს „მიტერა''-ს მეწილე (25%) და შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი''-ს დირექტორია.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

პროექტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია საპარტნიორო ფონდის ვებგვერდზე არ მოიპოვება. ამ პროექტთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა იმან, რომ შპს „როიალ დეველოფმენთის'' (რომელიც პროექტის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე დარეგისტრირდა) მესაკუთრეების და დირექტორების ბოლო ცვლილება საეჭვოდ დაემთხვა კვლევაზე მუშაობის პერიოდს და ჩვენს მიერ ფონდისთვის დასმულ შეკითხვებს ამ კომპანიასთან და ყოფილ პროკურორ **ოთარ ფარცხალაძესთან** დაკავშირებით. 2016 წლის 29 ივნისამდე კომპანია „როიალ დეველოფმენთის" 40%-ის წილის მფლობელი და მიმდინარე წლის 11 აგვისტომდე კომპანიის ერთ - ერთი დირექტორიც **ოთარ ფარცხალაძე** იყო. აღნიშნული პერიოდების შემდეგ კი ოთარ ფარცხალაძე შპს „როიალ დეველოფმენთან'' საერთოდ აღარ ფიგურირებს. **ოთარ ფარცხალაძე** 2013 წლის დეკემბრამდე მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ კი ბიზნესში გადაინაცვლა. იგი ასევე ყოფილ პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილის** ოჯახთან დაახლოებული პირია. შედეგად, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ კომპანია „როიალ დეველოფმენთი" სპეციალურად ამ პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა.
ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო ავიაციის ნაწილების კომპოზიტური ქარხნის **პროექტთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები არსებობს.**

2.3. სასტუმრო Best Western

3 ვარსკვლავიანი სასტუმრო Best Western

ადგილმდებარეობა: ქუთაისი

ოთახების რაოდენობა: 45

საინვესტიციო მოცულობა: $ 3 მლნ
გახსნის თარიღი: 2017 წლის მარტი

2015 წლის ივლისში „საპარტნიორო ფონდმა" კომპანია „კაპიტოლ ჰოლდინგთან'' ხელშეკრულება გააფორმა და ახალი სასტუმროს პროექტის განხორციელება დაიწყო. სასტუმრო ქუთაისის ცენტრში განთავსდება და 3 ვარსკვლავიანი იქნება. სასტუმროს 40

სტანდარტული, 5 ლუქსის ტიპის ნომერი ექნება, 3 საკონფერენციო დარბაზი და ღია და დახურული ტიპის კაფე-რესტორანი ექნება. პროექტის ღირებულება 3 მილიონი აშშ დოლარია, ფონდის მონაწილეობა კი 1.4 მლნ აშშ დოლარი. სასტუმროს დეველოპმენტს კომპანია „სიმეტრია" ახორციელებს, რომელიც, Best Western International-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. ჩვენს მიერ მოკვლეულია, რომ შპს „სიმეტრია" (მშენებლობის შემსრულებელი) „კაპიტოლ ჰოლდინგთან" დაკავშირებული კომპანიაა.

შპს „კაპიტოლ ჰოლდინგი" 12/12/2013 წელს არის დარეგისტრირებული. დირექტორი - **გიორგი ჯახუტაშვილი**, ხოლო წილის მესაკუთრე 100%-იანი წილის მმართველი **ვერა ჯახუტაშვილია** ყაზახეთიდან. **გიორგი ჯახუტაშვილი** შპს „ვია ჯგუფი''-ს დირექტორია, შპს „საქაგროინვესტი''-ს დირექტორი, შპს„ კაპიტოლ მენეჯმენტი''-ს მეწილე (25%), შპს „ვაი ემ ჯი''-ს მეწილე და შპს „მუნსა''-ს მეწილე. რაც შეეხება ვერა ჯახუტაშვილს ის შპს „კაპიტოლ რიალ ისთეითი''-ს მეწილეა (100%), ყაზახეთში.

შპს „სიმეტრია'' 23/09/2015 წელს არის დარეგისტრირებული (2007 წლიდან არსებობს როგორც შპს „ადეა'', თუმცა 2015 წელს ახალი სახელით - „სიმეტრია'' დარეგისტრირდა). დირექტორია - ტარიელ გაბუნია, მესაკუთრე კი შპს „კაპიტოლ მენეჯმენტი'' -100%.

თავად შპს „კაპიტოლ მენეჯმენტი'' 05/03/2014 წელს არის დარეგისტრირებული, მმართველი დირექტორი - **არჩილ შიშმანაშვილია** და ასევე კომპანიის 25% წილის მფლობელიც, აღმასრულებელი დირექტორია - **გიორგი ჯახუტაშვილი** და ფინანსური დირექტორი კი **დავით შიშმანაშვილია**, რომლებიც ასევე 25% -25%-იანი წილის მფლობელები არიან. დანარჩენი 25% წილის მფლობელი კი **გრიგორი ჯახუტაშვილია** ყაზახეთიდან. **არჩილ შიშმანაშვილი** ასევე არის საქართველოს კომპიუტერიზაციის საქველმოქმედო ფონდის დირექტორი, სამეცნიერო ტექნიკური განათლების ინსტიტუტის დირექტორი - დამფუძნებელი, შპს „აი-ეფ-ეს''- ის მეწილე (50%) და შპს თბილისის ენერგეტიკის სააგენტოს მეწილე (14%). **დავით შიშმანაშვილი** კი არის შპს „ჯეი ბი''-ს დირექტორი და მეწილე (50%) და შპს „აი-ეფ-ეს''-ს დირექტორი და მეწილე (50%).

აქედან ნათელია, რომ შპს „კაპიტოლ ჰოლდინგი'' და შპს „სიმეტრია'' ერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიებია, თუმცა ეს კანონს არ ეწინააღმდეგება, რადგან სამშენებლო კომპანია - შპს „სიმეტრია''-ს არჩევა როგორც ფონდში აცხადებენ საბაზრო პრინციპით - ფასთა გამოკითხვის საფუძველზე მოხდა. ზემოთ დასახელებული პირები პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდებიან.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ

„საპარტნიორო ფონდის" **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება,** თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

2.4. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური
ადგილმდებარეობა: მესტია, ჭუბერი
დადგმული სიმძლავრე: 280 მგვტ
საინვესტიციო მოცულობა: $ 1 მლრდ
გახსნის თარიღი: 2021 წელი

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური სვანეთში მდ. ენგურის შენაკადზე - მდ. ნენსკრაზე შენდება. ჰიდროელექტროსადგური 280 მგვტ სიმძლავრის იქნება წლიური პოტენციური გამომუშავება 1.2 მლრდ კვტ/სთ - ით. პროექტის ჯამური ღირებულება 1 მლრდ აშშ დოლარია. სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად ადგილობრივ ბაზარს მოხმარდება და შემოდგომა - ზამთრის პერიოდში იმპორტის ჩანაცვლებას დაეხმარება. პროექტის ინვესტორები „საპარტნიორო ფონდი” და სამხრეთ კორეის სახელმწიფოს წყლის რესურსების კორპორაცია „ქეი ვოთერი"-ი (KWater) არიან. მშენებლობას საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული იტალიური კომპანია - „სალინი-იმპრეჯილო" Salini Impregilo ქართულ კონტრაქტორ სამშენებლო კონსორციუმ - GCC ერთად ახორციელებს. საბანკო სესხის კომპონენტში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და კორეის „ექსიმბანკი" მონაწილეობს. პროექტში ფონდის მრჩეველი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) -ია. პროექტის დასრულება 2021 წელს იგეგმება, თუმცა ვარაუდობენ, რომ სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს. ფონდის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად სადგური 35 წელიწადში უსასყიდლოდ და ყოველგვარი პირობის გარეშე სახელმწიფოს გადაეცემა.

რაც შეეხება კომპანია GCC-ის, მისი საფირმო სახელწოდებაა შპს „ქართული სამშენებლო კონსორციუმი’’, რომელიც 2015 წლის 28 მაისს არის დარეგისტრირებული. დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი კი **დავით საყვარელიძეა**. დავით საყვარელიძე პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიაში არ ფიქსირდება.

პროექტის შეფასება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიერ

„საპარტნიორო ფონდის” **ვებგვერდზე პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ **პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვიჩნდება**.

რაც შეეხება შემდეგ ორ პროექტს: **კასლეთი 2** და **ლუხუნი 2**, ამ პროექტებთან დაკავშირებით „საპარტნიორო ფონდის" **ვებგვერდზე ინფორმაცია არ მოიპოვება**. ამ პროექტებთან დაკავშირებით „საპარტნიორო ფონდში" გვიპასუხეს, რომ კონტრაქტი ხელმომწერია, თუმცა ფონდი პარტნიორებისგან წინაპირობების შესრულების მონაცემებს ელოდება, რის შემდეგაც დაიწყება პროექტის დაფინანსებაც და ინფორმაციის გავრცელებაც. შესაბამისად, **ამ პროექტების შესახებ კითხვები გვიჩნდება.** ქვემოთ მოყვანილია ჩვენს მიერ ფონდისგან დამოუკიდებელი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

2.5. კასლეთი **2**

ჰიდროელექტროსადგური მდინარე კასლეთზე
ადგილმდებარეობა: სვანეთი, ხაიში
დადგმული სიმძლავრე: 10 მგ/ვტ
საინვესტიციო მოცულობა: $ 12 მლნ
გახსნის თარიღი: 2017 წელი.

2014 წლის 17 თებერვალს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზნით ვიცე-პრემიერ/ენერგეტიკის მინისტრ **კახა კალაძესა** და კომპანია შპს „ჰიდროლეას'' მმართველ პარტნიორ - **რადოსლავ დუდოლენსკის** შორის ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულება აღნიშნული კომპანიის მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში მდინარეებზე - კასლეთი და დარჩი - ორმელეთი, სამი ჰიდროელექტროსადგურის, „კასლეთი ჰესი 1-ის'', „კასლეთი ჰესი 2''-ის (დადგმული სიმძლავრე 10 მგ/ვტ - სავარაუდო წლიური გამომუშავება - 45,8 მლნ კვტ.საათი) და „დარჩი ჰესის'' მშენებლობას ითვალისწინებდა. „კასლეთი ჰესი 2'' - ის მშენებლობის დაწყება 2015 წლის ივლისში იგეგმებოდა, ხოლო ექსპლუატაციაში შესვლა კი 2017 წლის 31 დეკემბერს. „ჰიდროლეას'' სამივე პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევა 2014 წლის თებერვალში უკვე დასრულებული ჰქონდა. რადგან მშენებლობის დაწყება 2015 წლის ივლისში იგეგმებოდა, ამიტომ მემორანდუმის თანახმად, კომპანიას მშენებლობის დაწყებისათვის ყველა საჭირო ნებართვა არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივნისისა უნდა მოეპოვებინა.

მემორანდუმით საქართველოს მთავრობამ ვალდებულება აიღო კანონის ფარგლებში მისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების გამოყენებით დახმარებოდა (მათ შორის მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვის მიღებაში) ბულგარულ კომპანიას პროექტის განხორციელებაში, მათ შორის, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებების კომპანიისთვის გადაცემას.

კომპანიაზე ყველა ნებართვა მემორანდუმით გათვალისწინებულ ვადებში არ გაიცა, შედეგად 2015 წლის 23 ივლისს მემორანდუმში რამდენიმე შესწორება შევიდა. შეიცვალა მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო ნებართვის მოპოვების საბოლოო ვადა და ის 2015 წლის 1 სექტემბრით განისაზღვრა.

პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის ყველა საჭირო ნებართვის მიღების შემდეგ შპს „ჰიდროლეამ'' კასლეთი 2-ის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.

შპს „კასლეთი 2" - ი 2013 წელს დაარსდა, მისი დირექტორია რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი ბულგარეთიდან, ხოლო მესაკუთრე - 100% წილი მფლობელი კი შპს „ჰიდროლეაა''.

რაც შეეხება შპს „ჰიდროლეას'' აღნიშნული კომპანია 2012 წელს დაარსდა და ამჟამად მისი 62.25% წილი - ბულგარულ შპს „ქროსქანთრი კაპიტალ ი.ეი.დის," 37,75% წილი კი **იოსებ ნატროშვილს** ეკუთვნით. „ჰიდროლეას" დირექტორი ბულგარეთის მოქალაქე რადოსლავ დუდოლენსკია, რომელიც 2010-2013 წლებში სს „ენერგოპრო ჯორჯიას" წარმომადგენლისა და გენერალური დირექტორის თანამდებობებს იკავებდა.

„ჰიდროლეა" საქართველოს ენერგეტიკული ბაზრით დაახლოებით სამი წლის წინ დაინტერესდა. ამავე პერიოდში კომპანიამ 3 მცირე და საშუალო მოცულობის ჰესი - ახმეტაჰესი (9.4 მეგავატი), ფშაველაჰესი (2 მეგავატი) და დებედაჰესი (3.4 მეგავატი) ააშენა.

2.6. ლუხუნი 2

ჰიდროელექტროსადგური მდინარე ლუხუნზე

ადგილმდებარეობა: ამბროლაური, სოფელი ურავი,

დადგმული სიმძლავრე: 17 მგვტ

საინვესტიციო მოცულობა: $ 26 მლნ

გახსნის თარიღი: 2018 წელი

2009 წლის 27 ივლისს საქართველოს მთავრობასა და შპს „რუსმეტალს" შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლუხუნის ხეობაში 3 მცირე მოცულობის ჰესის, მათ შორის „ლუხუნი 2-ის" მშენებლობა დაიგეგმა. „ლუხუნი 2'' - ი სოფელ ურავთან შენდება და მისი დადგმული სიმძლავრე 17 მგვტ-ია.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, შპს „რუსმეტალმა" მცირე ჰესების კასკადის მშენებლობა დაგეგმა, რომელთა საერთო მოცულობაც 30,3 მგვტ სიმძლავრეს აღწევდა. თავდაპირველი გეგმის თანახმად „ლუხუნი 2-ის" დაგეგმილი სიმძლავრე 12 მგვტ-ს შეადგენდა. კომპანიამ მშენებლობის ნებართვა 2010 წლის 31 ივლისს მოიპოვა, ამავე თარიღითაა განსაზღვრული მშენებლობის დაწყების დროც, ხოლო ექსპლუატაციაში შესვლის თარიღად 2015 წლის 1 იანვარი განისაზღვრა.

2015 წლის 3 თებერვალს საქართველოს მთავრობას, შპს „რუსმეტალსა" და შპს „რუსთავი ჯგუფს" შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე ირკვევა, რომ „ლუხუნი 2-ის" ელექტროსისტემასთან მიერთების სქემის ცვლილების გამო, გახანგრძლივდა ელექტროსადგურის ქვესადგურთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობის ვადა. მემორანდუმის ტექსტში ასევე ვკითხულობთ, რომ „რუსმეტალის" მიერ საჭირო ფინანსური სახსრების მოძიების პროცესში, თავად დამფინანსებელმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა მოითხოვეს შპს „რუსმეტალის" „ლუხუნი 2-ის" პროექტიდან გამიჯვნა, რადგან აღნიშნული კომპანია საქართველოში სხვა სფეროებშიც ახორციელებს საწარმოო საქმიანობას. გარდა ამისა, შესაბამისი ფინანსური სახსრების არარსებობის გამო შპს „რუსმეტალმა" სახელმწიფოს საკუთრებაში დააბრუნა „ლუხუნი 1" და „ლუხუნი 3" პროექტები.

ასევე, რადგან „ლუხუნი 2" ის პროექტის სამშენებელო ნებართვა მიღებულია და სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია, აღნიშნული პროექტი სახელმწიფოს არ უბრუნდება. მემორანდუმის თანახმად, შეიცვლება სამშენელო სამუშაოების პირობები. პროექტის განხორციელებას შპს „რუსმეტალის" მიერ დაარსებული შპს „რუსთავი ჯგუფი" განხორციელებას. შესაბამისად, 2009 წელს დადებული მემორანდუმი და ნაკისრი ვალდებულებები ძალადაკარგულად გამოცხადდა.

2016 წლის 30 ივნისის საქართველოს მთავრობასა და „რუსთავი ჯგუფს" შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ჰესის მშენებლობის განახლების თარიღად 2016 წლის 1 სექტემბერი განისაზღვრა, ხოლო ექსპლუატაციაში შესვლა კი 2018 წლის 30 სექტემბერს იგეგმება.

შპს „რუსმეტალი” 2005 წლის 21 მარტს არის რეგისტრირებული. კომპანიის მეწილეები არიან **ბიძინა მინდელი** (3%), **მინდია მინდელი** (52%), **ზაზა მამულაიშვილი** (39%), **გერონტი ცვარიანი** (2%), **თემურ მიმინოშვილი** (4%). კომპანიის გენერალური დირექტორი **თემურ მიმინოშვილი**, დირექტორი კი **გიორგი ღუღუნაშვილია**. შპს „რუსმეტალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი **მინდია მინდელს** უკავია, მისი მოადგილე **თემურ მიმინოშვილია**, საბჭოს კიდევ ერთი წევრი კი **ბიძინა მინდელია**.

შპს „რუსთავი ჯგუფი” 2010 წლის 31 დეკემბერს არის დარეგისტრირებული. მისი დირექტორი **დავით მინდელია**, 100% წილს კი შპს „რუსმეტალი” ფლობს.

2.7. სასტუმრო Radisson წინანდალი

5 ვარსკვლავიანი სასტუმრო
ოთახების რაოდენობა: 102
ადგილმდებარეობა: წინანდალი
ჯამური ინვესტიცია: $ 30 მლნ.
გახსნის თარიღი: 2017 წელი

სს „საპარტნიორო ფონდის'' ვებგვერდზე არც ამ პროექტთან დაკავშირებით მოიპოვება ინფორმაცია. მხოლოდ მიმდინარე პროექტებშია ინფორმაცია ადგილმდებარეობის, ოთახების რაოდენობის, ჯამური ინვესტიციის და გახსნის თარიღის შესახებ. ამ პროექტთან დაკავშირებით ფონდში განაცხადეს, რომ „საპარტნიორო ფონდს” ამ პროექტის დაფინანსება ჯერ არა დაუწყია. პარტნიორთა შეთანხმებაში შედის ცვლილებები და სავარაუდოდ, მშენებლობა სექტემბერში განახლდება. მას შემდეგ, რაც უშუალოდ მოხდება ფონდის მიერ დაფინანსების გაცემა, ინფორმაციაც შესაბამისად განთავსდება ფონდის ვებგვერდზე. **შესაბამისად, ამ პროექტთან დაკავშირებით კითხვები გვიჩნდება.**

2.8. „ჰუმანითი ჯორჯია”

პროექტ „ჰუმანითი ჯორჯიას'', შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო'' უკვე წერდა, და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია, აღნიშნული პროექტის ამ ანგარიშშიც მოხსენიება.

ინფორმაცია პროექტის შესახებ ფონდის ვებგვერდზე არ მოიპოვება. როგორც ფონდის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს ამ ეტაპზე ძალაში შედის პარტნიორთა შეთანხმება, რაც დამოკიდებულია გარკვეული დანართების და დეტალების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებაზე. ამის შემდეგ კი მოხდება ინფორმაციის განთავსება ფონდის ვებგვერდზე შესაბამისი ფორმატით.

ინფორმაციისთვის კიდევ ერთხელ მიმოვიხილავთ „ჰუმანითი ჯორჯიას'' და „საპარტნიორო ფონდის" ერთობლივი პროექტს. 2015 წლის 24 დეკემბერს „საქართველოს მთავრობის დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით „საპარტნიორო ფონდმა" ავსტრიულ კომპანია Humanity Holding GmbH-თან ერთად ახალ პროექტი დაიწყო. პროექტის მიზანია თბილისში ორხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალტექნოლოგიური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული ქარხნის აშენება. პროექტის განხორციელებისა და ოპერირების მიზნით Humanity Holding GmbH-მა სს „ჰუმანითი ჯორჯია" (Humanity Georgia) დააფუძნა. ახალი პროექტის დაწყებაზე პარტნიორთა შეთანხმება „საპარტნიორო ფონდს", Humanity Holding GmbH-სა და საპროექტო კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას" (Humanity Georgia) შორის გააფორმდა.

13 თებერვალს გადაცემა „ბიზნეს კურიერში" სტუმრობისას სს „საპარტნიორო ფონდის'' აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ განაცხადა, რომ **ალექსანდრე მაშკევიჩს** სს „ჰუმანითი ჯორჯიაში'' ინვესტიციები აქვს და იგი ამ კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ჩვენ მოკვლევის თანახმად დავადგინეთ, რომ სს „ჰუმანითი ჯორჯია'' მართლაც ავსტრიული კომპანია „ჰუმანითი ჰოლდინგის'' (Humanity Holding GmbH) მფლობელობაშია, რომლის მმართველი დირექტორი **ნორბერტ კუდერი**ა. კომპანია **დარეგისტრირებულია** ვენაში 2015 წლის 9 მარტს, დაახლოებით ორი თვით ადრე სანამ „ჰუმანითი ჯორჯია'' საქართველოში დარეგისტრირდებოდა. აქედან ნათელია, რომ Humanity Holding GmbH-ი ახალი კომპანიაა და მას აღნიშნულ სფეროში გამოცდილება საერთოდ არ გააჩნია. ამ უკანასკნელი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი კიდევ ერთი ავსტრიული კომპანია ProjectH Holding GmbH-ია, რომლის მმართველი დირექტორიც იგივე ნორბერტ კუდერია. ავსტრიულ სამეწარმეო რეესტრში ეს ადამიანი კიდევ ხუთი კომპანიის მმართველ დირექტორად ფიგურირებს, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა კუდერს მხოლოდ კომპანიების საკუთარ სახელზე დარეგისტრირება ევალება, მათი რეალური მენეჯერები კი სხვები არიან. აქვე ასევე აღსანიშნავია, რომ თავად კომპანია ProjectH Holding GmbH - ი კომპანია LF Business DMCC-ის საკუთრებაშია. ეს უკანასკნელი დუბაიშია დარეგისტრირებული და მისი დირექტორი **ილია კარბაჩევსკია**. ამ ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი რთულია იმის გარკვევა **ალექსანდრე მაშკევიჩი** რეალურად დგას თუ არა ამ კომპანიების უკან.

III. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენ მიერ შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „საპარტნიორო ფონდის" მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების უმრავლესობა აკმაყოფილებს

მიზანშეწონილობისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმს, თუმცა არის სამი პროექტი (ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო Hyatt Regency, სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა და კომპანია სს „ჰუმანითი ჯორჯია''), რომლებიც გარკვეულ კითხვებს აჩენს.

ამ პროექტებში „საპარტნიორო ფონდთან" ერთად თანაინვესტორი კომპანიების: Merrydow Development Holdings LTD (მისი დირექტორი/ოფიცერი კომპანია ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული), შპს „როიალ დეველოფმენთის'' (საეჭვოა მათი პროექტში მონაწილეობა) და სს „ჰუმანითი ჯორჯია'' (კვალს ოფშორამდე მივყავართ) საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაცია არასაკმარისი ან ბუნდოვანია. გარდა ამისა, სს „ჰუმანითი ჯორჯიასა" და შპს „როიალ დეველოფმენთის" შემთხვევაში იკვეთება კავშირები საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორ **ოთარ ფარცხალაძესთან** და პრემიერმინისტრ **ბიძინა ივანიშვილთან**, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გავრცელებული ინფორმაციის ჭრილში - ივანიშვილის ახლო ნათესავის **უჩა მამაცაშვილის** „საპარტნიორო ფონდში" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციაზე მუშაობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირად საუბრებში ფონდშიც გვიდასტურებენ რომ ბატონი მამაცაშვილი ფონდში 2012-2016 წლებში მუშაობდა, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია ფონდის ვებგვერდზე არ მოიპოვება. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პროექტებში, სადაც „საპარტნიორო ფონდი" მინორიტარია შემსრულებელი კომპანიების არჩევა ფასთა გამოკითხვით, მხოლოდ ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება. ეს სტანდარტები, ვფიქრობთ, საკმარისი არ არის პროექტების სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ეს ყველაფერი ზოგიერთ შემთხვევაში კითხვებს აჩენს სახელმწიფო „საპარტნიორო ფონდის" მიერ სახელმწიფო თანხების გამჭვირვალე და ეფექტიან ხარჯვასთან მიმართებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიაჩნია, რომ:

- აუცილებელია, **„საპარტნიორო ფონდის'' ვებგვერდზე მოცემული იყოს დეტალური და გადამოწმებული ინფორმაცია ყველა პროექტის შესახებ.** ინფორმაცია უნდა მოიცავდეს პროექტის დაწყების და დასრულების თარიღსა და ფონდის პროექტში საინვესტიციო მოცულობასაც; ასევე, ეტაპობრივად, თითოეულ პროექტზე უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მუდმივი განახლება იმის შესახებ თუ განვითარების რა ფაზაშია პროექტი; საჯარო უნდა იყოს პროექტში როგორც თანაინვესტორი, ისე შემსრულებელი კომპანიების დამფუძნებლები და კომპანიების საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაციაც, ბუნებრივია, ისე რომ კომპანიების კომერციული საიდუმლოება არ დაირღვეს. ასევე, ნებისმიერი ტიპის პროექტის შემთხვევაში საჯარო უნდა იყოს შემსრულებელი კომპანიების არჩევის მიზნით ჩატარებული პროცედურებიც;
- „საპარტნიორო ფონდის" მიერ დაფინანსებული პროექტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით დამატებითი რეგულაციები უნდა იქნას შემოღებული. კერძოდ, უმჯობესი იქნება, თუ **კანონის დონეზე აიკრძალება „საპარტნიორო ფონდის'' სახსრების ისეთ იურიდიულ პირებზე გაცემა, რომლებიც რეგისტრირებული არიან**

ოფშორულ ზონაში, ასევე, იმ იურიდიულ პირებზე, რომელთა წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი. ცნობისთვის, მსგავსი რეგულაცია ქართულ კანონმდებლობაში უკვე არსებობს და ეს მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ კომპანიებს ეხება. ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების ვალდებულება აიღო საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 12 მაისს, ლონდონში გამართულ ანტიკორუფციულ სამიტზე.

- ყველა პროექტში, მიუხედავად იმისა ფონდის მონაწილეობა მაჟორიტარულია თუ მინორიტარული, **აუცილებელია, პროექტის მიზნებისთვის ნებისმიერი სამუშაოს შემსრულებელი პირის გამოვლენა სრულყოფილი (ღია და ინკლუზიური) ტენდერის გზით ხდებოდეს**. სხვაგვარად ჩნდება იმის რისკი, რომ შემსრულებელი კომპანიების არჩევა სხვადასხვა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს, შესაბამისად, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო სახსრების არაეფექტიან ხარჯვას.
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ფონდის ვებგვერდზე ფონდის საქმიანობისა და პროექტების შესახებ სრული ინფორმაცია არ მოიპოვება**. კვლევის თავდაპირველ ეტაპზე, ინფორმაცია ფონდიდან ოფიციალურად გამოვითხოვეთ, თუმცა მის მიღებაზე უარი მივიღეთ და მხოლოდ ფონდის ცალკეულ თანამშრომლებთან კონტაქტის შედეგად ვიღებდით ინფორმაციას. თუმცა, მას შემდეგ, რაც კვლევის პირველი ვარიანტი მის საჯაროდ გამოქვეყნებამდე ფონდს გავუგზავნეთ, ამ უწყებამ გამოთქვა მზადყოფნა, მოეწოდებინა ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია, თუმცა არასრულად. ვფიქრობთ, რომ ეს მიდგომა არ რის მართებული, განსაკუთრებით სახელმწიფო საინვესტიციო ფონდისთვის, რომელიც, სახელმწიფო სახსრებს განკარგავს და ამიტომ გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტით უნდა გამოირჩეოდეს.